სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/58

ქ. თბილისი

5 ნოემბერი 2024

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის №01-05-04/170 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესისა და შემოწმების მომსახურების საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/30 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში და წესის მე-5 მუხლის მე-15 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-15[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„15[1]. მონოგრაფიის შემთხვევაში - თუ ავტორი ნაშრომში იყენებს უკვე გამოქვეყნებულ მისივე სამეცნიერო სტატიას/სტატიებს და ადგილი აქვს დადგენილი მეორე მსგავსების კოეფიციენტის (5%-ის) დასაშვები ნორმის გადაჭარბებას (არა უმეტეს 10%-ისა), ფაკულტეტის/სკოლის აკადემიური დეპარტამენტი/ სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია/სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის რედკოლეგია/ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო ადგენს სამეცნიერო სტატიის გამოყენების

რაოდენობას პროცენტებში და უფლებამოსილი პირი ამზადებს დასკვნას ამ დებულების დანართი №5-ის შესაბამისად.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე